საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1244-03
21/08/2023

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ პირთათვის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების პირობებისა და თარიღების დამტკიცების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების 26-ე მუხლის მე-3 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ რექტორის 2023 წლის 16 აგვისტოს N 1201-03 ბრძანების გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიის სკოლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე: “კომპიუტერული ინჟინერია (საერთაშორისო) (ინგლისურენოვანი)”, “სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)(ინგლისურენოვანი) და “ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი)” მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა ჩატარდეს გასაუბრების ფორმატით და მის ძირითად მიზნად განისაზღვროს დარგობრივი ცოდნისა და მოტივაციის შეფასება.
2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე: “კომპიუტერული ინჟინერია (საერთაშორისო) (ინგლისურენოვანი)”, “სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)(ინგლისურენოვანი) და “ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი)” მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის საგამოცდო პერიოდად განისაზღვროს 16 სექტემბერი, ხოლო სააპელაციოდ 19 სექტემბერი.
3. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ჩატარდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის T კორპუსის 307 ოთახში.
4. დეტალური ინფორმაცია შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის დროის შესახებ უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსდეს არაუგვიანეს 15 სექტემბრის 18:00 საათისა.
5. შიდა საუნივერსიტიტეტო გამოცდის შედეგები უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 18 სექტემბრის 10:00 საათისა.
6. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა საპრეტენზიო განაცხადები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე გადმოაგზავნონ შემდეგ ელ. მისამართზე bte@iliauni.edu.ge 18 სექტემბერს 18:00 საათის ჩათვლით.
7. განმეორებითი გამოცდის პერიოდად განისაზღვროს 19 სექტემბერი.

8. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოთ ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის;

9. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, მატერიალური რესურსების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

ნიკოლოზ ყაველაშვილი

დეკანი